

შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი

შესავალი.

შრომის ბაზრისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების სწრაფად ცვალებადობის გათვალისწინებით, ის მუდმივად საჭიროებს კვლევებს. შრომის ბაზრისა და დამსაქმებლების მოთხოვნების ანალიზზე მუშაობისას ვიხელმძღვანელებთ ეკონომიკისა და მდგრადი მოთხოვნების სამინისტროს მიერ ჩატარებული კვლევის მასალებით, დავეყრდენით განვითარების სამინისტროს მიერ ჩატარებული კვლევის დროს გამოყენებულ მეთოდებს, მიმართულებებს სამინისტროს მიერ ჩატარებული კვლევის დროს გამოყენებულ მეთოდებს, მიმართულებებს და შევეცადეთ ჩაგვეტარებინა მიახლოებით ანალოგიური კვლევა სამეგრელოს რეგიონში პროფესიებზე მოთხოვნის შესწავლის მიზნით სასწავლო უნივერსიტეტის მისიისა და საქმიანობების გათვალისწინებით, რომ ზსსუ არის ერთადერთი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც სთავაზობს რეგიონს სწავლისა და სწავლების მრავალფეროვან გარემოს (უმაღლესი და პროფესიული) უწყვეტი განათლების პრინციპების დანერგვით.

კვლევა ძირითადად სამი მიმართულებით წარიმართა.

1. კვლევის ამოცანა :

ა) არსებული მონაცემების შეგროვება, თუ რის ნაკლებობას განიცდის შრომის ბაზარი და დამსაქმებელი.

ბ) შრომის ბაზრის ახალი მოთხოვნების შესახებ ინფორმაცია და კომპანიების დამოკიდებულება განათლების, როგორც კადრების მიმწოდებელ სისტემასთან;

გ) ზემოაღნიშნული პუნქტებით გათვალისწინებული მონაცემების შეჯერება რეგიონის ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტების გამოკვეთა, საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად რეგიონში პროფესიების მოთხოვნის შესწავლის მიზნით (რაც ითვალისწინებდა შრომის ბაზრისა და დამსაქმებლის მოთხოვნების, ასევე არსებული შესაძლებლობებისა და ადამიანური რესურსების შესწავლას).

2. კვლევის სფეროები/მიმართულებები:

1. გამოკითხვა ჩატარდა ოთხ რაიონში (ხობი, წალენჯიხა, ზუგდიდი, სენაკი) და მოიცვა საჯარო და კერძო სექტორი. კვლევის ჩატარების დროს გამოიკვეთა ძირითადი მსხვილი დასაქმების სფეროები რეგიონში:

ა) განათლება (საჯარო სკოლები, ბალები)

ბ) ფარმაცია

გ) ბიზნესი

დ) სამართალდამცავი ორგანოები

ე) მშენებლობა (ანაკლიის განვითარების პროექტმა გახადა აქტუალური)

ვაგრარული მიმართულება
ზ)ტურიზმი

თ)საბანკო სექტორი

2. კვლევა განხორციელდა კვლევების ჩატარების გამოცდილების მქონე სასწავლო უნივერსიტეტის პერსონალის მიერ (გაეროს განვითარების პროგრამების ფარგლებში ჩატარდა სამეგრელოს რეგიონში 2012 შრომის ბაზრის კვლევა პროფესიული განათლების პროფესიების მოთხოვნებზე) წინასწარ განსაზღვრული კითხვარებით. კითხვარები იყო როგორც ღია, ისე დახურული სახით.

კვლევის მეთოდოლოგია და ანალიზი

1. გამოყენებულ იქნა კვლევის რაოდენობრივი მახასიათებლები სასწავლო უნივერსიტეტის პერსონალის მიერ წინასწარმომზადებული კითხვარების სახით, რომელიც შემუშავდა ასევე სხვა ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევების შედეგებზე დაკვირვებით.
2. კვლევის ანალიზის დროს გამოყენებულ იქნა როგორც სასწავლო უნივერსიტეტის პერსონალის მიერ ჩატარებული კვლევების შედეგები, ასევე ინტერნეტ წყაროებში არსებული საჯარო ინფორმაციები უკვე ჩატარებული კვლევების შესახებ.
3. სასწავლო უნივერსიტეტის კვლევა ითვალისწინებდა რეგიონის სპეციფიკას, რეგიონის სტრატეგიული განვითარების გეგმას
4. გამოკითხვის დროს შეთავაზებულ იქნა პროფესიების ჩამონათვალი, საკვალიფიკაციო ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისად, რამაც გამოიწვია დიდი ინტერესი და დადებითი გავლენა იქონია გამოკითხვის პროცესზე.
5. ინფორმაციის მოგროვების საფუძველზე მოეწყო კვლევის შედეგების განხილვა და გაკეთდა ანალიზი.

გამოკითხვები მოიცავდა შემდეგ საკითხებს:

- ორგანიზაციის სამართლებრივი ფორმა;
- საქმიანობის ძირითადი მიმართულებები;
- დასაქმებული ადამიანების რაოდენობა ორგანიზაციაში;
- კადრების დეფიციტის საკითხი;
- ორგანიზაციის პერსონალის მოძრაობა უკანასკნელი 2-3 წლის განმავლობაში;
- კომპანიაში მიღებული უმაღლესი/პროფესიული პროგრამების კურსდამთავრებულთა რაოდენობა;
- მიმდინარე ეტაპზე მისაღები კადრების პროფესიული გამოცდილება და უმაღლესი/პროფესიული განათლების არსებობის საჭიროება;
- ორგანიზაციის პერსონალის პროფესიული გადამზადება ან კვალიფიკაციის ამაღლება ადმინისტრაციის ინიციატივით;
- მოლოდინი საკუთარ კომპანიაში ადამიანური რესურსების რაოდენობრივ და თვისობრივ ცვლილებებთან დაკავშირებით მომავალი 1-2 წლის განმავლობაში;

- მომავალი 1-2 წლის განმავლობაში მისაღები კადრების პროფესიული სტრუქტურა;
- საკუთარ სფეროსა და მუნიციპალიტეტში პროფესიებზე მოსალოდნელი მოთხოვნა;
- დამოკიდებულება უმაღლესი/პროფესიული განათლების სისტემასთან და /რეგიონში მოქმედ საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტთან.;
- დაინტერესება და მონაწილეობის სურვილი სასწავლო უნივერსიტეტთან ერთად საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებაში;
- ასევე უმაღლესი/პროფესიული პროგრამების კურსდამთავრებულების სტატუსზე მიღების საკითხი.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა შედეგი საკითხები:

შედეგი: ფორმალური განათლების აუცილებლობა, რომლის ნაკლებობაც აშკარად იგრძნობოდა რეგიონში. ვინაიდან, უმეტესობა დასაქმების მსურველი იყო აღჭურვილი პროფესიული უნარებით, მხოლოდ მესამედი თუ ფლობდა თეორიულ ცოდნას პროფესიული უნარების შესაბამისად.

1. რეკომენდაცია: აღნიშნული იმის მაჩვენებელია, რომ ძირითადად კურსდამთავრებულები არ საქმდებიან კვალიფიკაციის შესაბამისად. სხვა პროფესიის მქონე ადამიანები დასაქმების ადგილზე იღებენ პროფესიულ უნარებს. რეკომენდაციაა, სასწავლო უნივერსიტეტის მიზნად დარჩეს მოთხოვნადი სპეციალობების დანერგვა და მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა/თანამედროვე ბაზრის მოთხოვნის შესაბამისი კადრების მომზადება. მაგალითად, შეიძლება გაჩნდეს კარგი შესაძლებლობა და ისტორიის მიმართულების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიეზას სასწავლო უნივერსიტეტში არსებული „გიდის“ მოკლევადიანი კურსები, რაც უზრუნველყოფს გიდის სრულ კომპეტენციას თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების ინტეგრაციით.

შედეგი: კომპანიებისა და დამსაქმებელთა უმეტესობა საგანმანათლებლო ცენტრებს უკვეთავს საჭირო ცოდნითა და უნარებით აღჭურვილი კადრების მომზადებას და აცხადებს მზაობას ასეთი კადრების დასაქმებაზე.

2. რეკომენდაცია: უპასუხოს სასწავლო უნივერსიტეტმა რეგიონში არსებულ გამოწვევებს.

შედეგი: ძირითადი ნაკლოვანება, რასაც განიცდიდა შრომის ბაზარი იყო დასაქმებულთა შორის დისციპლინისა და პასუხისმგებლობის გრძობა, მოტივაცია და საქმისადმი სერიოზული დამოკიდებულება.

3. რეკომენდაცია: მსგავსი ტიპის უნარები უმეტესად მიიღწევა პრაქტიკულ უნარებთან ერთად თეორიული ცოდნით. ამდენად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, სწავლის შედეგებში ღირებულებების ნაწილის განსაკუთრებული გამოკვეთა.

შედეგი: საკმაოდ ახალია ტურიზმი შრომის ბაზარზე და საკმაოდ მაღალია დასაქმების მსურველთა ასაკობრივი ზღვარი. შრომის ბაზარს კი სჭირდება ახალგაზრდა კადრები შესაბამისი უნარებითა და ცოდნით

4. **რეკომენდაცია:** მნიშვნელოვანია სასწავლო უნივერსიტეტი რეგიონში გადაიქცეს ახალგაზრდების მოზიდვისა და რეკრუიტმენტის ადგილად. სივრცედ, სადაც როგორც დასაქმებულს, ისე გარე პირებს მიეცემა შესაძლებლობა შეიძინონ მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლისთვის აუცილებელი კომპეტენციები მოკლევადიანი მომზადება/გადამზადების კურსების დანერგვით.

შედეგი: პროფესიებისა და პროფესიული განათლების მოთხოვნის პარალელურად გამოიკვეთა უმაღლესი განათლების მაღალი საჭიროებაც. კომპანიებს სჭირდებათ ინტელექტი, რომლებსაც მხოლოდ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები აძლევენ თაობებს.

5. **რეკომენდაცია:** სასწავლო უნივერსიტეტში თეორიული ცოდნისა და პროფესიული უნარების მიღების საშუალება უნდა ეყრდნობოდეს უწყვეტი განათლების პრინციპს: ზოგადი განათლებიდან უმაღლეს განათლებამდე და ასევე კვლევის უნარების ხელშეწყობის მექანიზმებს.

შედეგი: ბოლო წლებში ტურისტების რიცხვის ზრდა ქვეყანაში ზრდის ტურიზმში დასაქმების მსურველთა რიცხვს და უფრო მეტად დასაქმების კანდიდატთა სათანადო ცოდნითა და უნარებით აღჭურვას. დასაქმების, კარიერული განვითარების გზაზე ბალანსი მდებარეობით და მამრობით სქესს შორისაც იქნა დასახელებული. დამსაქმებლებმა ხაზი გაუსვეს, რომ ძირითადი საშუალება კადრების მოზიდვისა არის ინტერნეტში განცხადების განთავსება, თუმცა სრულიად მოულოდნელი შედეგები ახლავს და ვერ ავსებს იმ მოთხოვნებს, რასაც დამსაქმებელი უყენებს დასასაქმებელს.

6. **რეკომენდაცია:** იმდენად, რამდენადაც დიდი იყო დამსაქმებლის ინტერესი ზსსუ-ს ინიციატივისადმი, უსდ-მ გააძლიეროს დამსაქმებელთა როლი და ჩართულობა სწავლისა და სწავლების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში.

შედეგი: გამოკითხვისას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, როგორც განათლებისა და პროფესიული განვითარების უმათავრესი ადგილები, დასახელდნენ შრომის ბაზარზე ყველაზე აუცილებელ მოთამაშეებად, ყველაზე საჭირო რგოლად არსებული ხარვეზების აღმოფხვრის საქმეში, რაც ზრდის უსდ-ს როლს რეგიონში. ყველა გამოკითხულმა დიდი ნდობა გამოხატა განათლების, როგორც კადრების მიმწოდებელ სისტემასთან; უმეტესობამ დასახელა „ბიზნესის ადმინისტრირებისა“ და „მცირე ბიზნესის მართვის“ სპეციალობები, როგორც საჭირო პროფესიები რეგიონში. ყველა კომპანია და ზოგადად შრომის ბაზარი ხაზს უსვამს მართვის უნარის მქონე კადრების ნაკლებობას. ადმინისტრირება და ინტერნეტ ტექნოლოგიების ფლობა ის აუცილებელი უნარებია, რომლებიც თვით მუშა ხელის მახასიათებლადაც უნდა იყოს გადაქცეული, რომ მართოს თავისი სამუშაო გარემო.

საინტერესო იყო კველვის შედეგად დამსაქმებლებს შორის დიდი ინტერესი იმ კადრებისადმი, რომელთაც ექნებოდათ ტურიზმის, ფინანსური საქმიანობებისა და მარკეტინგული ცოდნა და უნარები.

7. რეკომენდაცია: მიზანშეწონილია „ბიზნესის ადმინისტრირების“ უმაღლესი განათლების საბაკალავრო პროგრამაზე ტურიზმის, ბუღალტერიისა და მარკეტინგის მოდულების შემოღება, აღნიშნულ სფეროში კადრების მულტიპროფილური ცოდნითა და უნარებით აღჭურვის მიზნით. შრომის ბაზრისა და დამსაქმებლის მოთხოვნის კვლევამ უჩვენა ადმინისტრირებაში უმაღლესი განათლების მქონე კადრების არსებობის აუცილებლობა ზრდის იმის საჭიროებას, რომ ბიზნესის ადმინისტრირების უმაღლესი განათლება განვითარდეს რეგიონში. ასევე, რეგიონში მიეცეს ახალგაზრდობას კვლევითი უნარები გამოიმუშავონ მარკეტინგში.

შედეგი: რეგიონში ფარმაცევტულ კომპანიებს სასწავლო უნივერსიტეტი აწვდის კადრებს პროფესიული განათლების ფარგლებში მიღებული ცოდნითა და უნარებით ფარმაცევტის თანაშემწის სახით და ფარმაცევტს უმაღლესი განათლების ფარგლებში. თუმცა აშკარად გამოიკვეთა ტენდენცია უმაღლესი განათლების მქონე კადრების ნაკლებობის, იმდენად, რამდენადაც აფთიაქი არ არის მხოლოდ წამლის კლიენტისთვის მიწოდების (მიყიდვა, გაყიდვის) ადგილი, არამედ ის საჭიროებს სხვა დამატებით კომპეტენციებს.

8. რეკომენდაცია: შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით სასწავლო უნივერსიტეტმა შეინარჩუნოს „ფარმაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა და გამოახოს მექანიზმები კონტინგენტის მოზიდვასთან დაკავშირებით. არსებული კონტინგენტის სიმცირე, რაც აშკარაა ბოლო დროის სტატისტიკური მონაცემებით, გაპირობებულია მხოლოდ და მხოლოდ ზოგადი განათლების დონეზე დარგისთვის აუცილებელი ცოდნის სინაკლებით. სასურველია სასწავლო უნივერსიტეტმა თვითონ შესთავაზოს (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) აბიტურიენტებს მოსამზადებელი კურსები.

შედეგი: დამსაქმებლებმა გაუსვეს ხაზი, რომ მზარდ ეკონომიკურ გარემო პირობებში (ანაკლია, ჰესები, კულტურული და ტექნიკური განვითარება, განათლება) რეგიონში აუცილებელია ეროვნული და მსოფლიო ღირებულებებით აღჭურვილი კადრების არსებობა და მათ მუდმივ განვითარებაზე ზრუნვა. ადამიანის, დასაქმების მსურველების, რესურსების უფლებების დაცვა შრომის ბაზრის აუცილებელი მოთხოვნაა.

9. რეკომენდაცია: ზემოაღნიშნული მოთხოვნა ზრდის „სამართლის“ და „საჯარო მმართველობის“ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული თეორიული ცოდნითა და აუცილებელი პროფესიული უნარებით აღჭურვილი ახალგაზრდა თაობის გაზრდას, რაც გულისხმობს აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამების მუდმივ განვითარებაზე ზრუნვას.

შედეგი: განსაკუთრებული ხაზგასმით გაკეთებული უცხო ენის ცოდნის აუცილებლობაზე. გამორჩევით იგრძნობა მთარგმნელის აუცილებლობა, რეგიონი საერთაშორისო ფორუმებისა და ბიზნეს შეხვედრების ადგილია და სინქრონული თარგმანი რჩება მთავარ გამოწვევად.

10. რეკომენდაცია: ინგლისური ფილოლოგიის არსებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები გადავიდეს ინგლისური ფილოლოგიის თეორიული ცოდნისა და ენის ფლობის პრაქტიკული უნარების გადაცემის მიდგომიდან თარგმნის ხელოვნების კომპეტენციების განვითარების მიდგომაზე.

შედეგი : ჩატარებული კვლევებით (რა კომპეტენციების ნაკლებობას განიცდის შრომის ბაზარი? რომელი პროფესიების ნაკლებობაა შრომის ბაზარზე? რა შეავსებს ხარვეზს?) დგინდება შრომის ბაზარზე კლიენტთან ურთიერთობის დახვეწილი ფორმებისა და განათლების, მაღალი ინტელექტის მქონე კადრების აუცილებლობა, რაც ზრდის რეგიონში მრავალფეროვანი უმაღლესი და პროფესიული განათლების არსებობის აუცილებლობასა და სწავლისა და სწავლების პროცესში კვლევის ხელშეწყობის უზრუნველყოფას.

11. რეკომენდაცია: პრაქტიკის კომპონენტის აუცილებლობა საგანმანათლებლო პროგრამებში, ხოლო არსებობის შემთხვევაში - მათი გაძლიერება, ასევე კვლევის კომპონენტების ჩართვა სწავლაში

შედეგი: რეგიონში მწვავედ დგას სკოლებში განათლებისა და განათლებასთან დაკავშირებული მთელი რიგი პრობლემები.

12. რეკომენდაცია: ამა თუ იმ დარგის განვითარების მიზნით აუცილებელია სასწავლო უნივერსიტეტმა ითამაშოს წამყვანი როლი დარგების სწავლების საქმიანობაში. მასწავლებლის მომზადების ერთწლიან პროგრამასთან ერთად არსებული სიტუაცია მოითხოვს პედაგოგიკის ხუთწლიანი პროგრამების განვითარებაზე ზრუნვას, აღნიშნული უპასუხებს მასწავლებლის პრაქტიკული უნარების ფლობას პროგრამის დამთავრებისთანავე (60 კრედიტიანი კვლევა, რომელიც განხორციელდება სკოლების ბაზაზე).

შედეგი: როდესაც დამსაქმებლებს შესთავაზეს ვრცელი სია იმ პროფესიებისა, რომლებიც შესაძლებელია შესთავაზოს სასწავლო უნივერსიტეტმა ახალგაზრდა თაობებსა და დასაქმების მსურველებს, მათ მიერ გამოკვეთილი პრიორიტეტები იყო: სამართალმცოდნეები, ფარმაციის უმაღლესი განათლების მქონე კადრები, საჯარო მმართველობის მიმართულება, აგარარული სექტორი, ვეტერინარია, პროფესიული განათლების მრავალფეროვანი არჩევანი, მოკლევადიანი გადამზადების კურსები, პრაქტიკული ტრენინგები იმ პროფესიული განათლების კურსდამთავრებულებისთვის, რომლებმა სწავლა დაამთავრეს დიდი ხნის წინ და ამჟამად არ ფლობენ იმ უნარებს, რაც თანამედროვე შრომის ბაზარზეა მოთხოვნილი.

შედეგი: ყველა სექტორში გამოიკვეთა პრობლემად კადრების გადინება, გადინების მთავარი მიზეზები: ა) არასტაბილური სამუშაო; ბ) დაბალი ანაზღაურება;